ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N6

18.03.2022 წელი
14:30 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 18 მარტს, 14:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი) და **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე ა(ა)იპ სპორტის მართვის მეთოდოლოგიის და ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი **ანზორ გოგოლაძე,** გენერალური მდივანი **მამუკა ხოფერია** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ სპორტის მართვის მეთოდოლოგიის და ტექნოლოგიების ასოციაციის პროექტის **„თბილისის სასკოლო ლიგა 2022“** პრეზენტაცია *(საფუძველი წერილი N10/032207085-03; 11.03.2022 წელი);*
   მომხსენებელი - ანზორ გოგოლაძე, ა(ა)იპ სპორტის მართვის მეთოდოლოგიის და ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი.
2. **მიმდინარე საკითხები;**
   მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

გიორგი ჩაკვეტაძე - მოგესალმებით, სხდომაზე წარმოდგენილია ა(ა)იპ სპორტის მართვის მეთოდოლოგიის და ტექნოლოგიების ასოციაციის პროექტი „თბილისი სასკოლო ლიგა 2022“. სასკოლო ლიგა 2019 წელს საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით დაიწყო, რომელშიც ჩართული იყო თბილისის 150-მდე საჯარო და კერძოვსკოლა, გაიმართა 500 მატჩი. პროექტის მიზანია ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია და ნიჭიერი მონაწილეებისთვის ხელშეწყობა პროფესიული განვითარების კუთხით. აღსანიშნავია, რომ

სასკოლო ლიგის წარმატებული მონაწილეები მიწვეულები იყვნენ ფუტსალის ახალგაზრდულ ნაკრებში და კლუბებში, ასევე დაკომპლექტდა საქართველოს ახალგაზრდული U23 ნაკრები მინი ფეხბურთში, რომლებმაც ქალაქ კიევში მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზეს. პროექტის მნიშვნელოვანი მხარდამჭერია საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, თბილისის მერია და კერძო სექტორი. 2022 წელს მონაწილეობას მიიღებს 90-ზე მეტი სკოლის 1000-ზე მეტი მოსწავლე მხოლოდ თბილისში, ტურნირს დაემატება რუსთავი და აჭარის რეგიონი, კერძოდ ბათუმი. უპრეცედენტო პროექტია, რადგან არასოდეს არ ჩატარებულა საქართველოში ასეთი სისტემით, სასკოლო ფორმატში მსგავსი ტურნირი. ღონისძიება გაიმართება მიმდინარე წლის მარტიდან ივლისის ჩათვლით.

მოისმინეს:

,,თბილისის სასკოლო ლიგა 2022"-ს პროექტის პრეზენტაცია კომისიას, ა(ა)იპ სპორტის მართვის მეთოდოლოგიის და ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტმა წარუდგინა.

ანზორ გოგოლაძე - მოგესალმებით, პროექტი თბილისის სასკოლო ლიგა დაფუძნდა 2019 წელს, რომელიც ითვალისწინებს ინოვაციური მეთოდებისა და ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებას, სასკოლო საშეჯიბრო სისტემის ჩამოყალიბებას და გამართვას, მისი მიზანია მასობრივი სპორტის განვითარება და ხელშეწყობა, ასევე სკოლაში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია და სასკოლო ტურნირების შექმნა.

პროექტის ინიციატორია თბილისის საკრებულოს სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, 2019 წელს თბილისში პირველად გაიმართა საპილოტე ტურნირი **,,სასკოლო ლიგა"** რომელშიც მონაწილეობდა 32 სკოლის, 400-მდე მოსწავლე. ტურნირს ემსახურება სპეციალურად შექმნილი ელექტრონული პორტალი ,,Sfl.ge" სადაც ყველა თამაშის ფოტო/ვიდეოგადაღება მიმდინარეობს. მოთამაშეებს ყველა თამაშის შემდეგ შეფასებები ენიჭებათ. იქმნება სიმბოლური ნაკრებები, ვიდეო კოლაჟები და ყოველკვირეული ნომინაციები, რომელშიც გულშემატკივრებიც აქტიურად არიან ჩართულნი.

2021 წელს კი ფართო მასშტაბიანი ტურნირი ჩატარდა, რომელშიც თბილისის 100-მდე საჯარო და კერძო სკოლის 1000-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა. ტურნირი გაგრძელდა 4 თვე და გაიმართა 350-მდე მატჩი. ქართული მინი ფეხბურთის ისტორიაში პირველად ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდულმა ნაკრებმა მსოფლიოს ახალგაზრდულ (U23) ჩემპიონატზე მიიღო მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გუნდი შეირჩა სასკოლო ლიგა 2021-ის საუკეთესო მონაწილეებისგან, რომელთა მაქსიმალური ასაკი 18 წელს შეადგენდა, ხოლო ტურნირი 23-წლამდელთა შორის იმართებოდა.

მიმდინარე წელს კი მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგა ჩატარდება თბილისში, რუსთავში და ბათუმში (საპილოტე), ტურნირში 100-მდე საჯარო და კერძო სკოლის 90 გუნდის 1 080 მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას, თამაშები 22 მარტიდან 20 ივლისის ჩათვლით გაიმართება. აღსანიშნავია, რომ სასკოლო ლიგა თბილისში, მინი ფეხბურთის გარდა, სპორტის კიდევ ორ სახეობაში ხელბურთსა და პნევმატური იარაღით სროლაში ჩატარდება.

მინდა მადლობა გადავუხადო თბილისის საკრებულოს, მერიასა და ფეხბურთის ფედერაციას მხარდაჭერისთვის.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა.

აზრი გამოთქვეს:

გივი ჩხარტიშვილი - ტურნირი მხოლოდ თბილისის მასშტაბით მიმდინარეობს, თუ საქართველოს სხვა რეგიონებსაც მოიცავს?

მამუკა ხოფერია - 2019 წელს ჩატარდა სატესტო ტურნირი, სადაც მონაწილეობდა თბილისის 32 სკოლის 400-მდე მოსწავლე. 2020 წელს პანდემიის გამო გაუქმდა დაგეგმილი ღონისძიებები. 2021 წელს პროექტი გაფართოვდა და 100-მდე სკოლის 1200 მოსწავლე იყო ჩართული მარტო თბილისში. 2022 წელს ემატება რუსთავი, აჭარა და ასე ეტაპობრივად ვაპირებთ მოვიცვათ საქართველოს სხვა რეგიონებშიც.

ნინო კვიტაიშვილი - საინტერესოა განათლების სამინისტრო უჭერს, თუ არა მხარს აღნიშნულ პროექტს? მნიშვნელოვანი იქნება მათი მხარდაჭერა, განსაკუთრებით როცა პროექტი უფრო გაფართოვდება.

გიორგი ჩაკვეტაძე - მიმაჩნია, რომ ეს ცალსახად კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პრეროგატივაა, განათლების სამინისტრო პროექტის თანამონაწილეა იმ ნაწილში, რომ რესურსცენტრებთან და სკოლებთან აქვს კომუნიკაცია. პროექტის ძირითადი მხარდამჭერი ფეხბურთის ფედერაცია, თბილისის მერია და კერძო სექტორია. თუმცა, განათლების სამინისტროსთანაც კომუნიკაციის გაძლიერება შესაძლებელია. გავუწიოთ ორგანიზება და კომისიურად დავესწროთ ტურნირის გახსნით ღონისძიებებსა და პლეიოფის მატჩებს.

ანზორ გოგოლაძე - საკრებულოს წევრების დასწრება უფრო ამაღლებს ტურნირის მნიშვნელობას. მოგეხსენებათ, რომ სასკოლო -ლიგა 2021-ს მონაწილეთაგან დაკომპლექტდა მინი ფეხბურთის ახალგაზრდული U23 ნაკრები, ამ ბიჭების დიდ ნაწილს დასრულებული ჰქონდათ სპორტული კარიერა, მაგრამ აღნიშნულმა ტურნირმა შესაძლებლობა მისცათ, როგორც მინი ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობის, ასევე ფუტსალის კლუბებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და ფუტსალის ეროვნული ნაკრების ასაკობრივ გუნდში მოხვედრის.

ვლადიმერ ბოჟაძე - თბილისის გარდა, სხვა რეგიონები 2022 წელს პირველად ერთვებიან?

ანზორ გოგოლაძე - 2022 წელს თბილისის ფარგლებს გარეთ პირველად ტარდება, მოხდა რუსთავის ინტეგრაცია თბილისთან და აჭარის სატესტო რეჟიმში დაწყება. აჭარის სპორტის სამინისტროს ჩართულობით მიმდინარეობს პროექტი. ამ ეტაპზე მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ბათუმის სკოლები. ჩვენი პარტნიორია სააფთიაქო ქსელი პსპ, რომელიც პროექტის 30% აფინანსებს. სამომავლოდ ჩვენი მიზანია კერძო კომპანიებმა აიღონ ძირითადი ხარჯი და სახელმწიფო სახსრები მინიმუმამდე შემცირდეს. ტურნირის ამსახველ ვიდეოებს ათასობით ნახვა აქვს და როდესაც სოციალური აქტივობა მაღალია, კერძო კომპანიები იჩენენ ინიციატივას უფრო ძლიერი სპონსორობა გაუწიონ პროექტს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ა(ა)იპ სპორტის მართვის მეთოდოლოგიის და ტექნოლოგიების ასოციაციის პროექტის **,,თბილისის სასკოლო ლიგა 2022"** შესახებ ინფორმაცია.

კომისია მიესალმება ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობას და გამოთქვამს მზადყოფნას პროექტს **,,თბილისის სასკოლო ლიგა 2022"** გაუწიოს შესაბამისი მხარდაჭერა.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მიმდინარე საკითხები კომისიას, წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ.

გიორგი ჩაკვეტაძე - კომისიურ ფორმატში მნიშვნელოვანია სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი, ზოგიერთი უკვე დასასრულს უახლოვდება და კარგი იქნება ადგილზე გავეცნოთ სამუშაოებს. ასევე მინდა აპარატს დავავალო, რომ ელექტრონულ ფოსტაზე კომისიის წევრებს მივაწოდოთ სპორტული ღონისძიებების კალენდარი, რასაც მერია აფინანსებს. სურვილის შემთხვევაში, რომ შეძლონ ღონისძიებაზე დასწრება.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე